ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N44

2023 წელი; 28 დეკემბერი; 11:30 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ავთანდილ ცინცაძე
აკაკი ალადაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
არჩილ გორდულაძე
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:
- ბექა მიქაუტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი;
- ვახტანგ ლომჯარია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- დავით ჩანქსელიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს დირექტორის მოადგილე;
- ნინო ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;
- დავით ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

5. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 1252 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 1341 მუხლით, 135-ე-1355 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 1252 მუხლით, 135-ე-1355 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

12. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

13. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

15. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №44-ში არსებული 23.84 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.009.01.094) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

16. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N18-ში არსებული 91.22 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.062.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

17. ,,ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. ,,ქალაქ თბილისში, აეროპორტიდ დასახლებაში, სახლი N91-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.012.01.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

19. „ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა №7/1-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.627.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ - საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ. 204892777) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს" (ს/ნ. 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-482-1-23724 ხელშეკრულებაზე" დამატებების განხორციელების შესახებ შეთანხმების მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

21. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

22. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.048, ფართობი - 1 819 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

23. „აშფორდ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ 405384463) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ 01.14.11.021.027) - მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

24. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქN4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის

გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

25. „შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.10.007.061 და სიტუაციური ნახაზის შესაბამისად) კონკურენტული შერჩევის წესით პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე“ ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

28. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

29. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2024 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ვახტანგ ლომჯარიამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - პირველ საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც დედაქალაქის საკრებულოში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას, იმგვარად, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასაბეგრი ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის, რომელიც შეადგენს ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს, მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2025 წლის 1 იანვრამდე და გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზეც.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შემთხვევაში მოხდება ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული საქალაქო ტრანსპორტისა და საქმიანობისათვის სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისათვის განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა, აქვე დასძინა, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა საჭიროებს მოცულობით განახლებით სარეაბილიტაციო სამუშაოებს და შესაბამისად მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, რომლის უდიდეს ნაწილს სუბსიდირების სახით გამოყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, საჭირო გახდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის შუფერხებელი ფუნქციონირებისთვის გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენა.

მომხსენებლის განმარტებით, ზემომითითებული ღონისძიება გამოწვეულ იქნა იმ მიზეზით, რომ ქალაქ თბილისში რეგულარული საქალაქო ტრანსპორტის და სპორტის დარგით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები და დარგის მმართველი სახელმწიფო უწყებებმა მიმართეს ადგილობრივ თვითმმართველობას და აღნიშნეს, რომ ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ტრანსპორტისა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, არის დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე, რის გამოც მათ უგროვდებათ დიდი საგადასახადო ვალდებულებები ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები არაა მომგებიანი და ითხოვეს გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადების შემოღება თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის, ან/და ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეობების მიხედვით ამავე კოდექსით დადგენილი ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წარმოდგენილი პროექტის შემუშავება.

ვახტანგ ლომჯარიას მითითებით, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
2. ვახტანგ ლომჯარიამ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში ცვლილებების განხორციელებას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ განაშენიანების რეგულირების წესებში 2022 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით, 39[1] მუხლს დაემატა 13[1] პუნქტი, რითაც განისაზღვრა ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მექანიზმები და გაიწერა კრიტერიუმები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს, ბიზნეს სუბიექტების მიერ, ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების დროს, ხოლო, ეკონომიკური გაანგარიშების მიზნებისათვის, აღნიშნული ცვლილებით, მოხდა რამდენიმე მაჩვენებლების პირდაპირ განსაზღვრა:

▪ მშენებლობის ღირებულება, მთლიანი სამშენებლო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს 300 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში);

▪ ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში მესაკუთრისათვის/ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრისათვის გადასაცემი ფართის რემონტის საფასური თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს 100 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში);

▪ ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების პერიოდში, ავარიული სახლის მესაკუთრის/ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის ბინის ქირის კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს თვეში 1500 ლარს;

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქვეყანაში არსებული საბაზრო - ეკონომიკური მდგომარეობისა და ავარიული შენობა-ნაგებობის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია, ზემოაღნიშნული მაჩვენებლების შეცვლა იყოს დასაშვები და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნა, ამასთან, ავარიული სახლის მესაკუთრის/ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის ბინის ქირის ოდენობის განსაზღვრისას ექსპერტიზის დასკვნით, ბინის ქირის კომპენსაციის ოდენობა შეფასებული უნდა იქნას ავარიული შენობა-ნაგებობის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი ბინების 1 კვადრატული მეტრის ქირის საშუალო საბაზრო ღირებულების მიხედვით.

ვახტანგ ლომჯარიას მითითებით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, ასევე, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ვახტანგ ლომჯარიამ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული **დადგენილების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დამკიცებულ **„დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესში“** ცვლილებების **განხორციელებას**, რომელთა მიხედვითაც:

- ზემოაღნიშნული წესების ცხრილის 31-ე გრაფით განსაზღვრული დასახლებული ტერიტორიის **დასუფთავების მოსაკრებელი არ გავრცელდება** იმ **მშენებლობებზე**, რომელიც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 16[1] მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ **შემთხვევებში გამოყენებული იქნება იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკმაყოფილებისთვის**, ხოლო **იმ შემთხვევაში**, თუ, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკმაყოფილებისთვის** არსებული **პროექტი გაუქმდა, ამ ობიექტზე მოსაკრებლის გადახდა მოხდება ჩვეულებრივი წესით;**

- **პროექტი ასევე, ითვალისწინებს შეღავათის გავრცელებას ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ შესაბამის მშენებლობებზეც, კერძოდ**, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ამ დადგენილების პირველი მუხლის მოქმედება გავრცელდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 16[1] მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ **იმ მშენებარე ობიექტებზეც, რომელთა მშენებლობაც დაწყებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე.“.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014

წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების დანართი 2-ის 30-ე - 33-ე გრაფით გათვალისწინებულია დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა სამშენებლო ობიექტებზე, მათ შორის, 31-ე გრაფა ეხება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური მშენებარე ობიექტებს, ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 16[1] მუხლი ითვალისწინებს მაკომპენსირებელ ღონისძიებებს განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის, თუმცა, მითითებული მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ამ მაკომპენსირებელი ღონისძიების (შესაბამისი ფასის) გადახდისაგან თავისუფლდება ის ობიექტები, სადაც, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართობიდან არანაკლებ 50% გამოყენებული იქნება იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკმაყოფილებისთვის და აღნიშნული დადასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

როგორც ვახტანგ ლომჯარიამ აღნიშნა, ვინაიდან ზემოაღნიშნული ხასიათის პროექტები თავისი შინაარსით ატარებს სოციალურ ხასიათს და არის სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ეს ობიექტები ასევე გათავისუფლდეს დასუფთავების მოსაკრებლისაგან, თუმცა, განისაზღვრება დათქმა, რომ ამ ობიექტზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკმაყოფილებისთვის არსებული პროექტის გაუქმების შემთხვევაში, ობიექტზე მოსაკრებლის გადახდა მოხდება ჩვეულებრივი წესით. აქვე დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მითითებით მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. დავით ჩანქსელიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც მისივე განმარტებით, ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას, უფრო ზუსტად კი, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „თბილსერვის ჯგუფს" მიეცემა თანხმობა, 2024 წლის განმავლობაში, განახორციელოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ახალი სათანადო განკარგულებით განსაზღვრული იგივე დავალებები რასაც 2023 წლის მანძილზე ახორციელებდა, ხოლო, მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრება 2024 წლის პირველი იანვრიდან - 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის განმავლობაში, შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ 2024 წლის მანძილზე შესასრულებელი ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული „დასუფთავების ღონისძიებები" ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლებისა და პირველი მუხლის ტექნიკურად, ხოლო, პროექტის მე-3 მუხლის სტილისტურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული <u>რეკომენდაციების გათვალისწინებით,</u> მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ბექა მიქაუტაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მისივე განმარტებით, ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცებას და შესაბამისობაშია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტთან.

მომხსენებლის მითითებით, პროექტით წარმოდგენილი წესი დაარეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე, მძიმე სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით

უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის გაცემის პირობებს და პროცედურებს და აღნიშნული დოკუმენტის ტექსტუალური ნაწილი, არსებითად, იდენტურია წინა წლის დადგენილებისა და არ გვხვდება არსებითი ხასიათის ცვლილებები, ამასთან, დასძინა, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №20-123 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ასევე, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან და არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტიდან, აგრეთვე, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
6. თამარ ბერუაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით, დედაქალაქში, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის მიმართულებით განსაზღვრული შესაბამისი ქვეპროგრამების განხორციელების მიზნით, ამავე ქვეპროგრამებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, შემდეგი ახალი წესების დამტკიცებას:

ა) „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №1);
ბ) „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №2);
გ) „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელებისწესი“ (დანართი №3);
დ) „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №4);
ე) „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №5);
ვ) „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №6);
ზ) „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №7);
თ) „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №8).

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ხოლო, დადენილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის პირველი იანვარი, ასევე, ყურადღება გაამახვილა,

დადგენილების პროექტით წარმოდგენილი წესების პროექტებით განსაზღვრულ ღონისძიებებზე, ასევე, აღნიშნულთა განსხვავებაზე მოქმედი დადგენილებით დამტკიცებულ წესებთან შედარებით, შემდეგი სახით:

ა) „ძუძუს კიბოს სკრინინგის 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში“:

▪ ერთ-ერთი კომპონენტის - „ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვას და მამოგრაფიულ გამოკვლევას 2 პროექციაში (2 რადიოლოგის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წაკითხვით“ ნაწილში ემატება შემდეგი ღონისძიება - რადიოლოგთა მიერ განსხვავებული შეფასებებისა და/ან სკრინინგული დიაგნოსტიკის საჭიროების შემთხვევაში, კონსესუს კონფერენციას, რომელსაც უძღვება შემთხვევის ლიდერი მე-3 რადიოლოგი.);
▪ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით უფრო დეტალური სახით განისაზღვრა ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია;
▪ ძუძუს კიბოს სკრინინგის ნაწილში, ემატება ლიდერი მე-3 რადიოლოგის ჩართულობის საკითხი, აღნიშნულის საჭიროების მითითებით;
▪ ფარისებრის კიბოს სკრინინგის ნაწილში, დაზუსტდა, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის მიმწოდებლად რეგისტრაციის კონკრეტული თვე;
▪ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების/გამოკვლევების ერთეულის ღირებულებები, უმეტესად გაიზარდა ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტული კიბოს სკრინინგის ნაწილში;

ბ) „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ გაგრძელდება იგივე სახით 2024 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2023 წელს;

გ) „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების ახალ წესის პროექტში მცირედ დაკორექტირდა ქეპროგრამაში მოსარგებლეების ჩართვის კრიტერიუმები და ამოღებულ იქნა მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვეპროგრამაში ჩართული პირები რჩებოდნენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებად, მიუხედავად ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დიაგნოზისა, პროექტის განმარტებით ბარათზე დაყრდნობით, აღარ არსებობს ამ ჩანაწერის არსებობის საჭიროება, ამასთან, აღნიშნული წესი, გარდა მითითებული ცვლილებისა, 2024 წელს გაგრძელდება იმავე სახით, როგორც მოქმედებდა 2023 წელს.

დ) „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს პროექტი 2023 წელს მოქმედი წესისგან განსხვავებით, მცირედ დაკორექტირდა ქვეპროგრამის მოსარგებლეებად პირთა ჩართვის კრიტერიუმები, ამასთან, 2023 წელს მოქმედი წესისგან განსხვავებით, მე-5 მუხლში დაზუსტდა ქვეპროგრამაში ჩასართავად მოსარგებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

ე) „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ პროექტით, 2023 წელს მოქმედ წესთან შედარებით, მცირედად დაკორექტირდა ახალი წესით, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირების, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი, რეგისტრაციის საკითხი, ამასთან, <u>ახალი ჩანაწერის მიხედვით, ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოსარგებლეებს, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, მედიკამენტი უფინანსდებათ</u>

სრულად, ამ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით, ასევე დგინდება, რომ 2023 წელს მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებისათვის აღნიშნული სტატუსი ავტომატურად გრძელდება 2024 წელს, გარდა მიმწოდებლის შერჩევის კრიტერიუმებში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევებისა.

ვ) „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი"-ს პროექტით, ძველი წესის მიხედვით, ახალი წესის მიხედვით, ფსიქიატრიული მკურნალობის ვაუჩერის თანხა გაიზრდება 20 ლარით, ხოლო, დანარჩენ ნაწილში, 2023 წელს მოქმედი წესი, გაგრძელდება იმავე სახით 2024 წელსაც;

ზ) „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი"-ს პროექტით, დაკორექტირდა მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები და ამოღებულ იქნა ქვეპროგრამის მოსარგებლეთა ასაკობრივი კატეგორიის განსაზღვრის ნაწილიც, შესაბამისად, გაფანტული სკლეროზის ასაკობრივი ზღვარი შეიცვალა, ვინაიდან, ექიმების დაკვირვების ქვეშ არიან მცირე ასაკის ბავშვები, რომლებსაც ესაჭიროებათ გაფანტული სკლეროზის ქრონიკული მკურნალობა და აგრეთვე ისეთი პაციენტები, რომელთაც გაფანტული სკლეროზის პირველი ნიშნები გამოუვლინდათ ხანდაზმულ ასაკში. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა, მკურნალობის დაფინანსების საკითხის განხილვისას მოხსნილიყო ასაკობრივი შეზღუდვები;

თ) „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი"-ს პროექტით, 2023 წელს მოქმედი წესისაგან განსხვავებით, ემატება გარდამავალი დებულება, რის მიხედვითაც, 2023 წელს შესრულებული სამუშაო, რომელიც წარმოდგენილი იქნება 2024 წელს, ანაზღაურდება 2023 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში, ხოლო, დანარჩენ ნაწილში 2023 წელს მოქმედი წესი, გაგრძელდება იგივე სახით 2024 წელსაც.
მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტისა და დადგენილების პროექტით დასამტკიცებელი წესების პროექტების მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც უკავშირდება პროექტით წარმოდგენილი სათანადო წესის შესაბამისობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან, აგრეთვე, წესების ცვლილებათა შედეგად გამოწვეული სტილისტური და ტექნიკური ხარვეზების გასწორებას, პუნქტებისა და ქვეპუნქტების ნაწილში, ასევე, წესის პროექტებში მითითებული სათანადო თარიღების განსაზღვრისას კალენდარული დღეების შემოწმებას, რათა, ბენეფიციარებისათვის, არასამუშაო დღეების კონკრეტულ თარიღებად გამოვლენამ, არ წარმოქნას შემაფერხებელი ბარიერები, კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა შესაბამის ადგილებში 2023 წლის ნაცვლად 2024 წლის მითითების მიზანშეწონილობაზე და სხვა ღონისძიებებზე, რომლებიც კომისიის თავმჯდომარის მითითებით, რეკომენდაციების სახით, მიეთითება პროექტთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაში.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული რეკომენდაციები/შენიშვნები.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების/შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
7. თამარ ბერუაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც მისივე განმარტებით, მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით, დედაქალაქში, სოციალური დაცვის პოლიტიკის მიმართულებით განსაზღვრული შესაბამისი ქვეპროგრამების განხორციელების მიზნით, ამავე ქვეპროგრამებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, შემდეგი ახალი წესების დამტკიცებას:

ა) სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესი დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესი დანართი №2-ის შესაბამისად;
გ) სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესი, დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესი დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში და უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში ქვეპროგრამის განხორციელების წესი, დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი დანართი №6-ის შესაბამისად;

ზ) შინმოვლის თანადაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი, დანართი №7-ის შესაბამისად;

თ) სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი, დანართი №8-ის შესაბამისად;

ი) მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი, დანართი №9-ის შესაბამისად.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **პროექტის მიღება გამოიწვევს** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის № 20-121 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ხოლო, დადგენილების პროექტის ამოქმედების თარიღად **გათვალისწინებულია 2024 წლის პირველი იანვარი.**

მომხსენებელმა ისაუბრა დადგენილების პროექტით დასამტკიცებელი წესებით განსაზღვრულ ღონისძიებებზე, აგრეთვე, მათ განსხვავებებზე, ამჟამად მოქმედი, დადგენილების მოქმედ რედაქციით დამტკიცებულ წესებთან შედარებით, შემდეგი სახით:

- **სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესის** პროექტის რედაქციაში დაკონკრეტებულია, როგორც ყოველი ახალშობილის შეძენის შემთხვევაში 500 (ხუთასი) ლარიანი დახმარების მიღების პროცედურა, ასევე მესამე, მეოთხე, მეხუთე და შემდეგი ახალშობილების შემთხვევაში შესაბამისი ფულადი დახმარების მიღებისათვის აუცილებელი პროცედურა.
- **100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის** განხორციელების წესის პროექტის მიხედვით, პირები, რომლებსაც 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურე ბანკში, პირად საბანკო ანგარიშზე დაერიცხათ ფულადი დახმარება და 2024 წლის 9 იანვრის მდგომარეობით არსებული ინფორმაციის მიხედვით აკმაყოფილებენ ამ წესით გათვალისწინებულ პირობებს, თანხას მიიღებენ იმავე, აქტიურ საბანკო ანგარიშზე. ფულადი დახმარების მისაღებად ქვეპროგრამის განმახორციელებლისადმი განცხადებით მიმართვა სავალდებულო არ არის.
- **სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის** თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამის **განხორციელების** წესის პროექტი წარმოდგენილია იდენტური სახით.
- **სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების** დახმარების **და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების** დახმარების **ქვეპროგრამების** განხორციელების **წესის** პროექტით, 2023 წელს მოქმედ წესთან შედარებით, ცალკე პუნქტად გამოიყო „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების“ დახმარების ქვეპრორამაში მოსარგებლის ჩართვის კრიტერიუმები და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამის მოსარგებლისთვის ფულადი დახმარება გაიცემა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ პირის რეგისტრაციის საფუძველზე, თუ ქვეპროგრამის ფარგლებში პირზე ერთხელ მაინც გაცემულა ფულადი დახმარება ან პირი წარმოადგენს განცხადებას, რომელსაც თან ერთვის უსინათლო პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- „**სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების** დახმარების“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარების მიმღებად განისაზღვრება პირი, რომელიც „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“

დაფიქსირებულია როგორც „ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი“. ბენეფიციარის მომართვის შემთხვევაში თანხის მიმღები პირი შესაძლებელია იყოს 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. ხოლო „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარება გადაირიცხება უსინათლო პირის პირად საბანკო ანგარიშზე.

- **უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში და უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში ქვეპოგრამების განხორციელების წესის პროექტით,** თვეში ერთ მოსარგებლე პირზე (მოსწავლეზე) დაფინანსების ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 40 (ორმოცი) ლარს (გაიზარდა 10 ლარით) „უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი: 06 02 06 01)“ ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის“.

- **უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესის პროექტით, მომსახურების უწყვეტობის მიზნით, 2023 წელს** მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2024 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას;

- **შინმოვლის თანადაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის პროექტით,** 2023 წელს მოქმედ წესთან შედარებით, 2024 წლის წესის პროექტით, წესს ემატება მე-2 მუხლი, რითაც განისაზღვრება „ტერმინთა განმარტება“, ამასთან, შეიცვალა ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ მოსარგებლეთა რაოდენობა და 900-ის ნაცვლად განისაზღვრა 850 მოსარგებლე, წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ვაუჩერის ღირებულებისა და კატეგორიების შესაბამისად, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზის ქულების მიხედვით, ახალი რედაქციით განისაზღვრება (მცირდება) ვაუჩერების წლიური ღირებულება, ასევე, ამასთან უწყვეტობის მიზნით, 2023 წელს მიმწოდებლად ან/და შემფასებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2024 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

- **სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის პროექტით,** ემატება „გარდამავალი დებულება“ რის მიხედვითაც, 2023 წელს შესრულებული სამუშაო, რომელიც წარმოდგენილი იქნება 2024 წელს, ანაზღაურდება 2023 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში.

- **მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების** დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი წარმოდგენილია 2023 წელს მოქმედი წესის იდენტურია.

მომხსენებლისვე მითითებით, დადგენილების პროექტით დასამტკიცებელი წესების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით, ხოლო დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტისა და აღნიშნულით დასამტკიცებელი წესების მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, მათ შორის, პროექტის პრეამბულისა და პროექტით წარმოდგენილი წესების, როგორც ტექნიკური, ასევე, სტილისტური თვალსაზრისით გამართვის, აგრეთვე, პროექტის სათანადო წესში „2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი"-ს განსაზღვრის, პროექტის ტექსტუალურ ნაწილში არსებული სათანადო ტერმინების ტერმინთა განმარტების ნაწილში ასახვის ღონისძიებებზე.

გადაწყვიტეს:
წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული <u>რეკომენდაციების</u> გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
8. ნინო ჯაფარიძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-8 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც დედაქალაქის საკრებულოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, წარმოდგენილია ინიციირების წესით და ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღებას.

როგორც მომხსენებელმა განუმარტა კომისიის წევრებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 06 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნული ორგანოს №35-ე ოქმის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, სტრუქტურის განახლების და სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით, საქმისწარმოების ფუნქციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის" გადასაცემად, საჭიროდ იქნა მიჩნეული აღნიშნულ სსიპ-ებში რეორგანიზაციის პროცესის დაწყება, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ მითითებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს დაევალათ საქმისწარმოების ფუნქციების „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის" გადაცემის მიზნით რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

ნინო ჯაფარიძის მითითებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადება ემსახურება ზემოაღნიშნული ღონისძიების განხორციელებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პროექტის დამტკიცების შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურში დაიწყება რეორგანიზაცია და განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
9. **დავით ჯაიანმა**, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით **მე-9 საკითხად** განსაზღვრული დადგენილების პროექტი, **რაც ითვალისწინებს**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტით **დამტკიცებული 3 (სამი) დანართის**, რომლებიც მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებს, აღნიშნული მარშრუტების განრიგებს და მითითებული ავტობუსების (M2 კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასასვლელ კილომეტრს, **ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.**

როგორც მომხსენებელმა დასძინა, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, გამოყენებულ იქნა, დადგენილების მოქმედი რედაქციის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელოვანი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, ამ მარშრუტების კორექტირების განხორციელება ან დროებითი მარშრუტის/მარშრუტების ან მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში ცვლილების განხორციელება, რითაც **დროებითი ღონისძიების სახით გატარდა ცვლილებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დანართი N1, დანართი N2 და დანართი N3-ში, შემდეგ მარშრუტებში**: ავტობუსის (M2 კატეგორია) N473 მარშრუტის, N542 მარშრუტის, N426 მარშრუტის, N407 მარშრუტის, N478 მარშრუტის, N519 მარშრუტის, N523 მარშრუტის, N493 და N519 მარშრუტებში.

დავით ჯაიანის მითითებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა დადგენილების მოქმედ რედაქციაში ზემომითითებულ მარშრუტებში დროებითი ღონისძიების სახით გატარებული სათანადო ცვლილებების ასახვის მიზნით. ამასთან, დასძინა, რომ პროექტის ამოქმედება არ საჭიროებს დამატებით საბიუჯეტო სახსრებს, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
10. ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 10 **საკითხად** განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ინიციირების წესით, თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რომლის მომზადება, მისივე მითითებით, განპირობებულ იქნა 2024 წლის პირველი იანვრიდან ასამოქმედებელი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლში შეტანილი ცვლილებით, რითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზაზე M3, N2 ან N3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილთან ან/და დროსთან შეუსაბამო ადგილას ან/და დროს მოძრაობა **გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით**, ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო საშუალების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილთან ან/და დროსთან შეუსაბამო ადგილას ან/და დროს მოძრაობა იმ საქონლის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის მიწოდების ან მის სასარგებლოდ გადატანის მიზნით, რომელიც განკუთვნილია ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებისთვის, – **გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.**

მომხსენებელმა განაგრძო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განხორციელებული ცვლილების თაობაზე საუბარი, რამაც გამოიწვია დადგენილების პროექტის მომზადება და დასძინა, რომ აღნიშნულ კოდექსში ზემომითითებულ ცვლილების შენიშვნის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილი ხდება განსაზღვროს ის საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელზედაც ამ მუხლის შესაბამისი ნაწილების მოქმედება არ გავრცელდება, აგრეთვე დაადგინოს სათანადო წესი და განსაზღვროს იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გამცემი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი.

მომხსენებლისვე მითითებით, გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიების ქალქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ასახვისა, წარმოდგენილი პროექტით ადგილი აქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ უფლებამოსილების ეფექტურად და მარტივად შესრულების მიზნით, რიგი საკითხების მოწესრიგებას, ამასთან, იზრდება ელექტრონული საჯარიმო ქვითრების ნუმერაციაში ნომრების რაოდენობა. მომხსენებელმა დაამატა, რომ პროექტი ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან და მიის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას **მუნიციპალიტეტის 2024 წლის** ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
11. ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით **მე - 11 საკითხად** განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების თაობაზე პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) რიგი სამსახურების უფლებამოსილებათა დაზუსტებას, კერძოდ:

✓ **მონიტორინგის სამსახურს** ემატება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[2] მუხლით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, აგრეთვე ამავე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის/გამოწერის ფუნქცია;
✓ **ვიდეოფირით ან/და ფოტოფირით დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სამსახურის უფლებამოსილების ნაწილში: კონკრეტდება, რომ** მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის მფლობელისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის გაწევისას გამოვლენილი სამართალდარღვევისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერა; **აგრეთვე, განისაზღვრება, რომ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში** - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის შემდეგ, როდესაც სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, სამსახური აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციას მონიტორინგის სამსახურს მიაწოდებს;
✓ **სანებართვო-ანალიტიკური სამსახურის უფლებამოსილებად განისაზღვრება** სააგენტოს მიერ უფლებამოსილების ფარგლებში დაჯარიმებული ან/და სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის გაცემა სააგენტოს ცხელი ხაზის -1398 მეშვეობით.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ამასთან, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
12. ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 12 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული დანართი 3-ის ცვლილებას, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის შესაბამისად.

მომხსენებლისვე მითითებით, ცვლილების თაობაზე დადგენილების პროექტი მომზადებულ იქნა იმ მიზნით, რომ მძღოლებისთვის უფრო ხილვადი და ადვილად იდენტიფიცირებადი იყოს ზონალური პარკირების ის ადგილი, სადაც შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალების დგომა, ხოლო, პროექტით შემოთავაზებული ცვლილება უზრუნველყოფს იმგვარი ალტერნატიული საგზაო მონიშვნის დამატებას, რომლებიც გაუადვილებს მძღოლებს ზონალური პარკირების არეალების იდენტიფიცირებას, კერძოდ, იმ ადგილებში, სადაც გზა ემიჯნება ტროტუარს, მანქანის გაჩერების შემდგომ მძღოლები სწორედ ტროტუარზე აგრძელებენ სვლას, შესაბამისად, საგზაო მონიშვნა საუკეთესო საშუალება გახდება პარკირების ადგილების იდენტიფიცირების საქმეში.

ვასილ აბულაძემ ასევე დაამატა, რომ პროექტის ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის პირველი იანვარი.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
13. ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე-13 საკითხად განსაზღვრული, „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ავტობუსებისათვის (M2 ან M3 კატეგორიის) სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების წესის განსაზღვრას, ამასთან, ინფორმაციული თვალსაზრისით აღნიშნა, რომ 2023 წლის 20 დეკემბერს სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, შპს „ლილო მოლის" გენერალურმა დირექტორმა მიმართა განცახდებით, რომლის მიხედვით შპს „ლილო მოლი" არის საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი, მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენს მოვაჭრეთა და მომხმარებელთა მომსახურება, ამასთან, მგზავრთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე,

მათი მომსახურების, კომფორტული და უსაფრთხო სამგზავრო გადაყვანის მიზნით საჭიროა განხორციელდეს მათი სპეციალური რეგულარული ფასიანი გადაყვანა M3 კატეგორიის არაუმეტეს 10 ერთეული ავტობუსით, მარშრუტით: სადგურის მოედანის ზედა გაჩერება - ლილო მოლი; ლილო მოლი - სადგურის მოედანის ზედა გაჩერება, ამასთან, აღნიშნული განცხადებით წარდგენილ იქნა ავტობუსების მძღოლების მონაცემები, ავტობუსების გადაადგილების მარშრუტს ქუჩების/გამზირების მითითებით და მოთხოვნილ იქნა, რომ სააგენტომ შეითანხმოს აღნიშნული მეწარმე სუბიექტის მიერ მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანა ისე, რომ მარშრუტები არ მოიცავდეს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლ(ებ)ს „BUS LANE", საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული წესის იმ მუხლების შესაბამისად, რომლებიც ადგენს მოთხოვნებს სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიმართ, ხოლო გადაყვანის საწყისი და საბოლოო პუნქტები განსაზღვრული იქნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილი ავტოსადგურებიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტოსადგურსა და შპს „ლილო მოლს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ აღნიშნული განცხადების მიხედვით, კომპანია, რომელიც უშუალოდ მოახდენს მგზავრთა გადაყვანას და ოპერირებას, სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსების (M3 კატეგორიის) ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრაობისას დადგენილი მარშრუტის დარღვევის და სხვა მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აცნობიერებს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლითაც მტკიცდება ავტობუსებისათვის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცების წესი, აგრეთვე მოსწავლეების და დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები, ამასთან, მარშრუტების დამტკიცების წესი განსაზღვრავს სპეციალური რეგულარული გადაყვანის ავტობუსებისათვის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცების მიზნით წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, წარდგენილი დოკუმენტების განხილვის პირობებს, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესს, პასუხისმგებლობას დამტკიცებული მარშრუტის დარღვევის შემთხვევაში.

მეტი დაზუსტებისათვის, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით, მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი წერილობითი განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული ავტორიზაციის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადასაყვანი მოსწავლეების რაოდენობა;

- ავტობუს(ებ)ის სარეგისტრაციო მოწმობა (აგრეთვე ამ ავტობუს(ებ)ით მომსახურების განხორციელების შეუძლებლობისას იმ სარეზერვო ავტობუს(ებ)ის სარეგისტრაციო ნომრები, რომლებითაც განხორციელდება ავტობუს(ებ)ის ჩანაცვლება);
- ავტობუსის მძღოლის მონაცემები, მათ შორის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა;
- სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტ(ებ)ი ქუჩების/გამზირების მითითებით, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE") ავტობუს(ებ)ის გადაადგილების მითითებით;
- ავტობუს(ებ)ის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობა;
- ავტობუს(ებ)ის ვიზუალური მდგომარეობის ამსახველი ფოტოები, ამასთან ავტობუს(ებ)ის ვიზუალური მდგომარეობა აშკარად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მათი მეშვეობით მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე და ვიზუალი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას;
- გადაწყვეტილების მისაღებად სააგენტოს მიერ დამატებით მოთხოვნილი აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

ამასთან, მიუთითა, რომ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, დამსაქმებელი, წერილობითი განცხადებით, სააგენტოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- ავტობუს(ებ)ით გადასაყვანი დასაქმებულების რაოდენობა;
- ავტობუს(ებ)ის სარეგისტრაციო მოწმობა (აგრეთვე ამ ავტობუს(ებ)ით მომსახურების განხორციელების შეუძლებლობისას იმ სარეზერვო ავტობუს(ებ)ის სარეგისტრაციო ნომრები, რომლებითაც განხორციელდება ავტობუს(ებ)ის ჩანაცვლება);
- ავტობუსის მძღოლის მონაცემები, მათ შორის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა;
- ავტობუს(ებ)ის გადაადგილების მარშრუტი ქუჩების/გამზირების მითითებით;
- გადაწყვეტილების მისაღებად სააგენტოს მიერ დამატებით მოთხოვნილი აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის თანახმად, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE") მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსები:

- დასაშვებია გადაადგილდებოდნენ ყოველდღიურად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა და შაბათ-კვირისა;
- უნდა გაჩერდნენ მხოლოდ ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილებზე. ამასთან, გაჩერების დრო არ უნდა აღემატებოდეს 1 წუთს;
- გადაყვანას უნდა ახორციელებდნენ 06:00 საათიდან 09:00 საათამდე და 14:00 საათიდან 18:00 საათამდე.

მომხსენებელმა დაამატა, რომ სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრაობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული მარშრუტის დარღვევით გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

135[5] მუხლის შესაბამისად, ხოლო ავტობუსის მოძრაობა ამ წესით დადგენილი სხვა მოთხოვნების დარღვევით გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ამასთან, დასძინა, რომ პროექტი ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან, ხოლო „მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები", მისი შეთანხმების წესი და პირობები იმოქმედებს 2024 წლის 1 ივლისამდე, ამასთან, პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტის ტექნიკურად გამართვისა და სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული **რეკომენდაციის** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-14 საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მომზადება განპირობებულ იქნა, ერთხელ უკვე აღნიშნულ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[2] მუხლში შეტანილი ცვლილებით, რაც ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან და რომლის მიხედვითაც - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზაზე M_3, N_2 ან N_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილთან ან/და დროსთან შეუსაბამო ადგილას ან/და დროს მოძრაობა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ისევე, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო საშუალების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილთან ან/და დროსთან შეუსაბამო ადგილას ან/და დროს მოძრაობა იმ საქონლის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის მიწოდების ან მის სასარგებლოდ გადატანის მიზნით, რომელიც განკუთვნილია ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებისთვის.

მომხსენებელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული 135[2] მუხლის შენიშვნით განისაზღვრა ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებზეც ვრცელდება ამ მუხლის შესაბამისი ნაწილების მოქმედება. ამავე დროს, მუხლის შენიშვნითვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილი ხდება განსაზღვროს

ის საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელზედაც ამ მუხლის შესაბამისი ნაწილების მოქმედება არ გავრცელდება, აგრეთვე დაადგინოს სათანადო წესი და განსაზღვროს იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გამცემი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში იკრძალება M_3, N_2 და N_3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი, რომლებზეც ვრცელდება ამ დადგენილებით დადგენილი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვა, ამასთან, დგინდება იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, რომლებზეც არ ვრცელდება ზემოაღნიშნული შეზღუდვები, ხოლო, აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებს წარმოადგენს:

ა) საჯარო დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის მოძრავი სატრანსპორტო საშუალება, რის თაობაზეც საჯარო დაწესებულება ინფორმაციას მიაწვდის მუნიციპალიტეტს;

ბ) ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე აღჭურვილია ლურჯი ან ლურჯი და წითელი მოელვარე სპეციალური ციმციმა სიგნალით;

გ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ბავშვის, მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, სტუდენტის ან/და იმავე დაწესებულების თანამშრომლის/იმავე დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირის გადაყვანა ხორციელდება;

ე) ის სატრანსპორტო საშუალება, რომელზედაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით გასცა სათანადო თანხმობა და რომელიც ამ თანხმობის შესაბამისად მოძრაობს;

ვ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დათვალიერების მიზნით ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები, იმ პირობით, რომ მათი მარშრუტ(ებ)ი წინასწარ არის შეთანხმებული მუნიციპალიტეტთან;

ზ) საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემომავალი M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა მოძრაობის მარშრუტები დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) მუნიციპალური/სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები;

ი) კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კუთვნილ საინკასაციო ტრანსპორტი, რომელსაც ჩართული აქვს ლურჯი ან ლურჯი და წითელი მოელვარე სპეციალური ციმციმა სიგნალი;

კ) არაგეგმიური საავარიო და სიცოცხლის/ჯანმრთელობის საფრთხის შემთხვევების აღმოსაფხვრელად საჭირო სატრანსპორტო საშუალებები;

ლ) ბეტონმზიდი მანქანები;

მ) ნავთობპროდუქტების გადამზიდველი სატრანსპორტო საშუალებები - 08:00-11:00 საათების შუალედში;

ნ) ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდების/ტრანსპორტირებისის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები - 08:00-11:00 საათების შუალედში;

ო) დაგვა-დასუფთავების განმახორციელებელი სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებები;

ამასთან, მომხსენებელმა დაამატა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება არ იმოქმედებს, კალენდარული წლის აგვისტოს თვეში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში, ასევე, შაბათს და კვირა, ხოლო, მისი ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის პირველი იანვარი, აქვე, **დასძინა, რომ** დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის „ა.ნ)" ქვეპუნქტი (საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის უფლება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდების/ტრანსპორტირებისის საჭირო სატრანსპორტო საშუალებებისთვის - 08:00-11:00 საათების შუალედში) ძალადაკარგულად გამოცხადდება 2024 წლის 1-ელი სექტემბრიდან, ხოლო, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტს დაემატოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებული დათქმა,

სადაც, მითითება უნდა გაკეთდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაზე, ხოლო, დადგენილების პროექტისათვის აღნიშნული რეკომედაციის გათვალისწინებით, შემდგომი ნუმერაციით მუხლების განსაზღვრაზე, აღნიშნული რეკომენდაციები კი გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული **რეკომენდაციების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. მარიამ კვერნაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით **მე - 15 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,** მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში, ბინა N94-ის, 23.84 კვ.მ. პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე კესო კემულარიასთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარედგინა ვაკის რაიონის გამგეობის მიერ, ამასთან ეცნობა, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის II სამმართველოს ინფორმაციით, მისამართზე ცხოვრობს 2009 წლიდან დღემდე, ამასთან, 14 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებენ აღნიშნული მოქალაქის მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული აქტით.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ კესო კემულარიასა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. მარიამ კვერნაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით **მე - 16 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,** მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა № 18-ში, მე-2 სართულზე მდებარე 91.22 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ია

არეშიძისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, მიუთითა, რომ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შუამდგომლობით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობამ და მიაწოდა საკითხთან დაკავშირებით მოძიებული შემდეგი ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით (2020 წლის მდგომარეობით) ია არეშიძე ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ასევე, მთაწმინდის რაიონის გამგეობის 2028 წლის გამოკითხვის ოქმებისა და ფიზიკური პირების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადების მიხედვით, ია არეშიძე 1990 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ხოლო, სსიპ-დევნილთა, ეკოემიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, ია არეშიძე დევნილად რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის, როგორც სტილისტური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული **რეკომენდაციების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. **მარიამ კვერნაძემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით **მე - 17 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,** მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ, მოქალაქე **გიორგი მჟავანაძისათვის - 42.68 კვ.მ** და **ირაკლი დანელიასთვის - 21.42 კვ.მ. ფართების, საერთო ჯამში 64.1 კვ.მ. უძრავი ქონების** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად **პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ასევე, დაამატა, რომ** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შუამდგომლობით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობამ და ითხოვა, არადევნილის სტატუსის მქონე აღნიშნული მოქალაქეებისათვის თვითნებურად დაკავებული ფართების სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით, სათანადო პროცედურების განხორციელება, ამასთან, მიაწოდა შემდეგი მოძიებული ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს 2023 წლის 6 იანვრის წერილის თანახმად, ზემოთ აღნიშნული მოქალაქეები დაახლოებით 2007 – 2008 წლებიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებენ მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, ხოლო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე

საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ კი, ყოველივე ზემოთითებულის გათვალისწინებით, მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
18. მარიამ კვერნაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 18 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, აეროპორტის დასახლება, სახლი 91-ში, პირველ სართულზე მდებარე 36.21 კვ.მ. ფართობის ბინა № 1-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად შორენა მეშველიანისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შუამდგომლობით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობამ და მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის პირველი ნოემბრის ოქმების მიხედვით,შორენა მეშველიანი 2000 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებს, გამგეობის მიერ მოძიებული ინფორმაცია და სანოტარო წესით დამოწმებული ფიზიკური პირების განცხადება, ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის პირველი მარტის წერილის მიხედვით შორენა მეშველიანი დევნილად რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
19. მარიამ კვერნაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 19 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი,

ჩოლოყაშვილის ქუჩა N7/1-ში არსებული 277.05 კვ.მ. ფართის 50 (ორმოცდაათი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - „საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, აქვე, დაამატა, რომ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წერილით მიმართა ა(ა)იპ - „საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის" თავმჯდომარემ, იმ მიზეზით, რომ ფედერაცია დედაქალაქში სარგებლობს მხოლოდ ორი სავარჯიშო დარბაზით, რომელთაგან ერთი (მდებარე - ილია ჭავჭავაძის გამზ. N49ბ) ექვემდებარება დანგრევას და რეალურად ერთი სავარჯიშო დარბაზი ვერ უზრუნველყოფს მსურველთა რაოდენობის დაკმაყოფილებას, ხოლო, ქალაქ, თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. N7/1-ში მდებარე ფართის გადაცემის შემთხვევაში ა(ა)იპ - ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის მიერ მოეწყობა კომპლექსური, სპორტულ - გამაჯანსაღებელი დარბაზი და ფედერაცია იღებს ვალდებულებას განახორციელოს 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია, რომელიც მიმართული იქნება სპორტული ინვენტარის უზრუნველყოფისა და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე, ქონების გადაცემიდან სამი წლის განმავლობაში.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ა(ა)იპ - „საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის" თავმჯდომარემ საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ისნის რაიონის გამგებელს და ითხოვა, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობა გაეწია სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან, ხოლო, სამგორის რიაონის გამგეობის წერილობითი პოზიციით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ა(ა)იპ - „საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის" მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა გამოთქვამს მზადყოფნას, ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, უზრუნველყოს სარემონტო სამუშაოები, მოთხოვნილი ფართის ექსპლუატაციის შესაძლებლობის მდგომარეობამდე მისაყვანად, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, 2023 წლის 21 აპრილის წერილის მიხედვით, არ არის წინააღმდეგი ა(ა)იპ - „საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის" გადაეცეს აღნიშნული ქონება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ხოლო, ყოველივე ზემომითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ - „საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის" გადაცემა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- უძრავი ქონების უზუფრუქტის ფორმით გადაცემიდან 3 (სამი) წლის ვადაში ა(ა)იპ - „საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის" მიერ უნდა მოხდეს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;
- უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება 50 (ორმოცდაათი) წლის ვადით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის მითითების

ხოლო, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის ამოღების მიზანშეწონილობის საკითხებზე, აგრეთვე მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტში მიეთითოს უზუფრუქტის ვადა და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს სათანადო რედაქციით, ხოლო არსებული მე-2 პუნქტი ტექნიკურად გამართვის შემდგომ ჩამოყალიბდეს მე-3 პუნქტის სახით.

საკითხის წარმომდგენის მიერ გაზიარებულ იქნა მითითებული რეკომენდაციები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
20. მარიამ კვერნაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 20 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებაზე დამატებების განხორციელების შესახებ შეთანხმების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, დასახლება მუხიანი, IV მიკრო/რაიონსა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული 117 955 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები, კერძოდ, №01.11.17.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 24 485 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1, №2, №3, №4, №5, №6, №7 შენობა-ნაგებობები და №01.11.17.006.844 საკადასტრო ერთეულზე მდებარე 93 470 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 დან №10-ის ჩათვლით შენობა-ნაგებობები, ამასთან, პრივატიზებული ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 23 323 170 (ოცდასამი მილიონ სამას ოცდასამი ათას ას სამოცდაათი) ლარი და მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ' შორის, პრივატიზებულ ქონებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონცეფციისა და ხელშეკრულების დანართების შესაბამისი პროექტის განხორციელება, ასევე, არაუგვიანეს 2025 წლის 23 სექტემბრისა, საპრივატიზებო ქონებაზე ინვესტიციის განხორციელება, შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

ა) არაუგვიანეს 2022 წლის 23 სექტემბრისა - არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარი;

ბ) არაუგვიანეს 2023 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარი;

გ) არაუგვიანეს 2024 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში არანაკლებ 6 000 000 (ექვსი მილიონი) აშშ დოლარი;

დ) არაუგვიანეს 2025 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარი.

მომხსენებელმა დაამატა, რომ მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოში წარმოდგენილია სს „თიბისი ბანკის" მიერ 2019 წლის 22 ოქტომბერს გაცემული 2 376 080 (ორი მილიონ სამას სამოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, ხოლო, მყიდველის მიერ 2022 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით განსახორციელებელი ინვესტიციის განხორციელება დადასტურებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 21 ივნისის განკარგულებით. 2023 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით განსახორციელებელი ინვესტიციის (ჯამში არანაკლებ 3 000 000 აშშ დოლარი) განხორციელების თაობაზე კი მყიდველის 2023 წლის 14 დეკემბრის განცხადებით წარმოდგენილია შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების" აუდიტორული დასკვნა.

გარდა მითითებული გარემოებების აღნიშვნისა, მომხსენებელმა მიუთითა რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 2.5 პუნქტის თანახმად:

„აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)თან შეთანხმებით, დაასრულოს №01.11.17.008.031 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განთავსებული ადმინისტრაციული შენობის ნაწილისა და მისი მიმდებარე ღია სივრცეების მოწყობა და რეაბილიტაცია და ამავე ვადაში უზრუნველყოს სულ მცირე ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებული №1, №4 და №5 სავალდებულო კატეგორიების განვითარება, ფუნქციონირების დაწყება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები განმარტავენ, რომ სავალდებულო კატეგორი(ებ)ის განვითარება, ფუნქციონირების დაწყება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა შესაძლოა ასევე უზრუნველყოს აუქციონში გამარჯვებული პირის კონტრაქტორმა (აუქციონში გამარჯვებულ პირთან დაკავშირებული ან არადაკავშირებული, დამოუკიდებელი პირი), რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე აუქციონში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე (იჯარის, ქირავნობის, სივრცით სარგებლობის ხელშეკრულება, საოპერაციო მართვის, მომსახურების გაწევის და/ან სხვა მსგავსი ტიპის ხელშეკრულება) ახდენს/ახორციელებს აქ ჩამოთვლილი მოქმედებებიდან რომელიმეს (ყველას ან ერთ-ერთს): (ა) აღნიშნული სივრცის განვითარება; და/ან (ბ) ფუნქციონირება; და/ან (გ) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტი არ გულისხმობს აუქციონში გამარჯვებული პირის ვალდებულებას, ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში და ტერიტორიაზე განავითაროს ხელშეკრულების დანართი №2-ით განსაზღვრული №1, №4 და №5 „სავალდებულო კატეგორიების" „მინიმალური განვითარების კვადრატულობა" სრულად. ამ მუხლის მიზნებისთვის, დაკავშირებული პირი გულისხმობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ დაკავშირებულ პირს."

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ 2023 წლის 12 დეკემბრის განცხადებით სააგენტოს მიმართა მყიდველმა და ხელშეკრულების 2.5 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, ითხოვა დამატებითი ვადის განსაზღვრა, არაუგვიანეს 2024 წლის 01 ოქტომბრისა. ამავე კორესპონდენციით, მყიდველმა განაცხადა მზადყოფნა, აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე, მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ მყიდველის მიერ ხელშეკრულების 2.5 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების მე-9 მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე, მაგრამ ჯამში არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული საპრივატიზებო საფასურის 0.05%-ისა.

მარიამ კვერნაძის მითითებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების 2.5 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, მყიდველს განესაზღვრება დამატებითი ვადა არაუგვიანეს 2024 წლის 01 ოქტომბრისა. ამასთან, დამატებითი ვადის მოქმედება არ აჩერებს პირგასამტეხლოს დაკისრებას. ვალდებულების შესრულებამდე დაკისრებულ პირგასამტეხლოს მყიდველი გადაიხდის ყოველთვიურად - გასული თვის განმავლობაში დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით. ხოლო, პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის თანხა გამოთხოვილი იქნება საბანკო გარანტიიდან, ასევე, მხარეები თანხმდებიან, რომ საბანკო გარანტიის შემცირების შემთხვევაში მისი სრულ ოდენობამდე შეუვსებლობის ან წარმოდგენილი შეთანხმებით გათვალისწინებულ დამატებით ვადაში ხელშეკრულების 2.5 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია დაუყოვნებლივ, ყოველგვარი დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მოხსენების მოწურულს, მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
21. მარიამ კვერნაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ინიციირების წესით წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 21-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების საკითხის და სათანადო დანართად

განსაზღვრული ინტერესთა გამოხატვის პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (შემდგომში - თბილისის მთავრობა) იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო, აღნიშნულის შეთანხმების შემთხვევაში, თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალოს - თბილისის მთავრობის სათანადო განკარგულებისა და მასზე თანადართული ინტერესთა გამოხატვის პირობების განთავსება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.tbilisi.gov.ge, ამასთან, თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკითხის შეთანხმების შემთხვევაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, კომპეტენციის ფარგლებში, დაევალება თბილისის მთავრობის მიერ მოწონებული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში წარდგენილი განცხადებების გახსნისა და შესაბამისი ოქმის შედგენის უზრუნველყოფა, ასევე, საუკეთესო განაცხადის მქონე პირის გამარჯვებულად გამოვლენა, მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის მომზადება, შემდგომში - თბილისის მთავრობის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კოპრუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად, განსაზღვრულია ინტერესთა გამოხატვის საგანი, საპრივატიზებო ქონება, მისი ძირითადი პარამეტრები, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენის წესი, კრიტერიუმები და იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადება, პროექტის განხორციელების ძირითადი პირობები, ეტაპები და ვადები, პროექტის მოსამზადებელი ეტაპი და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შემდეგი სახით:

- ✓ ინტერესთა გამოხატვის საგანია, მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო მიერ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის (შემდგომში: გამარჯვებული პირი) ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, გამარჯვებული პირის მიერ, საპრივატიზებო ქონებაზე სამშენებლო პროექტის (შემდგომში: პროექტი) განხორციელებისა და პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე ავარიულ შენობა-ნაგებობებში მცხოვრები პირების (შემდგომში: დასაკმაყოფილებელი პირები) საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა აღნიშნულ ავარიულ შენობა-ნაგებობებსა და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთებზე დასაკმაყოფილებელ პირთა საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის (შემდგომში: მუნიციპალიტეტი) დათმობის სანაცვლოდ, წინამდებარე ინტერესთა გამოხატვისა და შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულების (შემდგომში: ხელშეკრულება) პირობების შესაბამისად;

✓ საპრივატიზებო ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე, ჯამში 11 008 კვ.მ. ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 (შვიდი) მიწის ნაკვეთს:

1) 01.19.20.025.092 - 4 816 კვ.მ.

2) 01.19.20.025.093 - 4 176 კვ.მ.

3) 01.19.20.025.110 - 1 951 კვ.მ.

4) 01.19.20.025.072 - 29 კვ.მ.

5) 01.19.20.025.094 - 12 კვ.მ.

6) 01.19.20.025.111 - 12 კვ.მ.

მომხსენებლის მითითებით, საპრივატიზებო ქონებაზე განთავსებულია ხაზობრივი ნაგებობები, მათ, შორის, წყალარინების ქსელი, საკომუნიკაციო - საკანალიზაციო არხები, ასევე შესაძლოა მდებარეობდეს სხვა რეგისტრირებული თუ არა რეგისტრირებული ხაზობრივი ნაგებობები, ამასთან, ინტერესთა გამოხატვის პირობები შეიცავს დათქმას, რომ საპრივატიზებო ქონების ნაწილი შესაძლოა იყოს თვითნებურად დაკავებული, ასევე, საპრივატიზებო ქონების ნაწილში (ჯამში - 672 კვ.მ) რეგისტრირებულია საჯარო - სამართლებრივი სერვიტუტი, ამასთან, ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად, საპრივატიზებო ქონების სამშენებლოდ განვითარება და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა უნდა განხორციელდეს შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

✓ ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 5.0.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, საპრივატიზებო ქონება გამარჯვებულ პირს საკუთრებაში გადაეცემა სიმბოლურ ფასად, 1 (ერთ) ლარად, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, ამ პირობებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ან/და მის მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გამარჯვებული პირის მიერ გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების მინიმალური საერთო ოდენობა შეადგენს არანაკლებ 9950 (ცხრა ათას ცხრაას ორმოცდაათი) კვ.მ.-ს, ამასთან, ინტერესთა გამოხატვის შედეგების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას (წარმოდგენილი სააგენტოს მიერ) და გამარჯვებულ პირს შორის დაიდება შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულება გამარჯვებული პირისათვის საპრივატიზებო ქონების საკუთრებაში გადაცემისა და პროექტის განხორციელების თაობაზე, რითაც, დეტალურად განისაზღვრება/დაზუსტდება პროექტის განხორციელების პირობები, ვადები, მხარეთა უფლებამოვალეობები, პასუხისმგებლობის (მათ შორის, პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევები და ოდენობა) და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხოლო, პროექტის ფარგლებში უპირატესად

განიხილება ქ. თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში არსებული 4 შესაბამის საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე საცხოვრებელი დანიშნულების მრავალბინიანი ავარიული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა შესაბამისი ფართებით დაკმაყოფილება.

მომხსენებლის განმარტებით, თითოეული სანაცვლო კორპუსის პროექტში მონაწილეობა მოიცავს მისი მესაკუთრეების მიერ ამ კორპუსზე საკუთრების უფლების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემას, პროექტის ფარგლებში შესაბამისი ფართების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ. შესაბამისად, თითოეული სანაცვლო კორპუსის პროექტში მონაწილეობა საჭიროებს მისი ყველა მესაკუთრის წერილობით თანხმობას, ხოლო, პროექტი უნდა განხორციელდეს საპრივატიზებო ქონებაზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობ(ებ)ის (შემდგომში: ლოტ(ებ)ი) მშენებლობის განხორციელების გზით. გამარჯვებული პირი ვალდებულია უპირატესად უზრუნველყოს პირველი ლოტის მშენებლობა №01.19.20.025.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ საპრივატიზებო ქონებაზე. ამასთან, გადასაცემი საერთო ფართის მშენებლობა სრულად უნდა განხორციელდეს პირველი ლოტის ფარგლებში.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა გამარჯვებული პირის სხვა ვალდებულებებზე, რაც გულისხმობს, პირველი ლოტის მშენებლობა დაასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სამშენებლო ეტაპის დაწყებიდან 34 (ოცდათოთხმეტი) თვისა, ასევე, ექსპლუატაციაში მიღებული გადასაცემი საერთო ფართი მუნიციპალიტეტს ფაქტობრივ მფლობელობაში გადასცეს, თეთრ კარკასულ მდგომარეობაში. აქვე, აღსანიშნავია, რომ ინტერესთა გამოხატვის პირობები ადგენს თეთრი კარკასის მდგომარეობის მნიშვნელობას, პროექტის მიზნებისათვის.

მომხსენებლის მითითებით, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირი ვალდებულია სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 5 500 000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის (ან მისი ექვივალენტი ოდენობა დოლარში/ევროში (საბანკო გარანტიის გაცემის დღისათვის მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად) ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს გამარჯვებული პირის მიერ იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებას, ასევე, ინტერესთა გამოხატვისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად: სანაცვლო კორპუსების მესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური ფართების შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებასა და მათ სააგენტოსთვის წარდგენას, აღნიშნული საბანკო გარანტია შესაძლებელია შემცირდეს ეტაპობრივად, გამარჯვებული პირის წერილობითი მიმართვისა და სააგენტოს წერილობითი თანხმობით, პროექტით განსაზღვრული სათანადო წესის შესაბამისად.

მოხსენების მიწურულს მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს, ცალმხრივი გადაწყვეტილებით, შეწყვიტოს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პროცესი და უარი თქვას მის განხორციელებაზე, ამასთან, ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ

დაპირებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ან/და საკრებულოს მიერ იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმების საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების ან/და იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული რეკომენდაციების თაობაზე, კერძოდ, მიზანშეწონილად მიიჩნია, ინტერესთა გამოხატვის პირობების 4.3 პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვა „მინიმალური" და ჩამოყალიბდეს სათანადო რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ასევე შემდეგ რეკომენდაციებზე:

- ✓ ვინაიდან,N01.19.20.025.092 N01.19.20.025.093, N01.19.20.025.110, N01.19.20.025.072, N01.19.20.025.094, 01.19.20.025.111, (საცხოვრებელი ზონა 6), საკადასტრო ერთეულების მიმართ რუკის მონაცემები იკვეთება - „აეროდრომის შეზღუდვის არეალი", (ასევე თბილისის სატყეო ზონა) მიზანშეწონილია, აღნიშნულ შეზღუდვასაც ითვალისწინებდეს ინტერესთა გამოხატვის პირობები;
- ✓ N01.19.20.025.092 - საკადასტრო ერთეულზე, რუკის მონაცემების მიხედვით, იკვეთება შეზღუდვა - „გაზსადენის შეზღუდვა", მიზანშეწონილია, აღნიშნული ასევე მითითებულ იქნას ინტერესთა გამოხატვის პირობებში.
- ✓ ინტერესთა გამოხატვის მოწვევა გამოცხადებამდე, მიზანშეწონილია, საკითხი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესწავლილ იქნას და არსებობდეს სათანადო დასკვნა, როგორც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული სააგენტოს მიერ, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული, რათა აღნიშნული დოკუმენტაცია, თან ახლდეს პროცესის მსვლელობის შემდგომ ეტაპებზე საკითხთან დაკავშირებულ მასალებს;
- ✓ მიზანშეწონილია, საპრივატიზებო მიწის ნაკვეთებზე არსებული ხაზობრივი ნაგებობის თაობაზე, უფლებამოსილი, მუნიციპალური ორგანოს მიერ გაცემული ინფორმაცია ასევე თან ახლდეს საკითხთან დაკავშირებულ მასალებს.

საკითხის მომხსენებლის მიერ გაზიარებულ იქნა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული რეკომენდაციები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ნინო ბაგაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ინიციირების წესით წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით

22-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39³ მუხლით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით დადგენილი, ხელშემწყობი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (1 819 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას. მომხენებლისვე განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით ქალაქ თბილისში, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.9), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, ხოლო, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=2.9-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, ამასთან, დასძია, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 690 176 ლარს.

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხოლო, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს სათანადო პრინციპით და საანგარიშო ფორმულით.

ნინო ბაგაშვილის მითითებით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, ქალაქ თბილისში, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა N8-ში მდებარე (1 819 კვ.მ) მდებარე მიწის ნაკვეთის კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 2.9-მდე გადამეტების შესაბამისი ფასი შეადგენს 270,428.16 (ორას სამოცდაათი ათას ოთხას ოცდარვა და თექვსმეტი მეასედი) ლარს,

ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინოს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის საკითხი:

- ✓ ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2=2.5 დან კ-2=2.9 მდე;
- ✓ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- ✓ დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 270,428.16 (ორას სამოცდაათი ათას ოთხას ოცდარვა და თექვსმეტი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდზე;
- ✓ დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ✓ პროექტით განსაზღვრული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა კი გამოიწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ გასცა რეკომენდაციები პროექტის მიმართ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სწორად მიეთითოს მთავრობის განკარგულების სათაური და ტექნიკურად გაიმართოს განკარგულების პროექტის პირველი, მე-2 და მე-5 მუხლები.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ინიციირების წესით წარმოდგენილი, იურიდიულ

საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 23-ე **საკითხად** **განსაზღვრული** **განკარგულების** **პროექტი, რაც,** საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **დადგენილი** **დაუმთავრებელი** **მშენებლობების** **დასრულებისათვის** **საჭირო** **დროებითი** **ღონისძიებების** **საფუძველზე,** ითვალისწინებს, **„შპს „აშფორდ** **დეველოპმენტი"-ს** **მიმართ** მისამართზე - ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან - მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელის **განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის (**შემდგომში - დაუმთავრებელი** **მშენებლობების** **კომისია**) 2023 წლის 21 აგვისტოს განცხადებით მიმართა შპს „აშფორდ დეველოპმენტმა" და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (536 კვ.მ) მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, **დაუმთავრებელი** **მშენებლობების** **კომისიის** **მიერ,** 2023 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

✓ **დაუმთავრებელი** **მშენებლობების** **კომისიამ** (ოქმი N1, 25.01.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (536 კვ.მ) - მიმართებით შპს „აშფორდ დეველოპმენტი"-ს მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სათანადო განკარგულებებით;

✓ დაინტერესებული პირის შპს „აშფორდ დეველოპმენტის" განმარტებით, ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განისაზღვრა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) გადამეტება 2.5-დან 4.2-მდე;

✓ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი იქნა სამშენებლო არქიტექტურული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში გაზრდილი კ-2 კოეფიციენტის ათვისების მიზნით, კორექტირებული პროექტის შეთანხმებას. ამასთან, კორექტირებული პროექტით შესაძლებელია მხოლოდ 4.0 კ-2 კოეფიციენტის ათვისება.

✓ დაინტერესებული პირის ინფორმაციით, გადახდილია ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განსაზღვრული გადასახდელი თანხის ნაწილი, ჯამში 348 600 (სამას ორმოცდარვა ათას ექვსასი) აშშ დოლარის ოდენობით რაც შეესაბამება 4.0 კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ღირებულებას. აღნიშნული თანხა გადახდილია ორ ეტაპად: ა) 2023 წლის 27 ივლისს 150 000 აშშ დოლარი; =ბ) 2023 წლის 19 აგვისტოს 198 600

აშშ დოლარი; გ) ამასთან, 2023 წლის 19 აგვისტოს გადახდილია ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისი ჯარიმა 2302 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, დაინტერესებული პირი ითხოვს მისამართზე - ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების დაზუსტებას, კერძოდ **მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება განისაზღვროს 2.5-დან 4.0-მდე.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, მეტიც მოთხოვნილი ხელშემწყობი ღონისძიების მიხედვით ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) შემცირება, ამასთან, ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში კორექტირებული არქიტექტურული პროექტით შესაძლებელია მხოლოდ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნაწილის ათვისება (4.0),

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, დაინტერესებული პირის მიერ გადახდილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით განსაზღვრული გადასახდელი თანხის **395 080** (სამას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ოთხმოცი) **აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ნაწილი (ჯამში 348 600 აშშ დოლარი), ამასთან დაინტერესებული პირის მიერ გადახდილია ვადაგადაცილებული დღეების ჯარიმა 2302 ლარის ოდენობით,** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავორობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე საკითხი:

- ✓ **ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5 - დან 4.0-მდე;**
- ✓ შპს „აშფორდ დეველოპმენტი"-ს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის N29 განკარგულებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებები ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში, ჩაითვლება შესრულებულად, ხოლო N29 განკარგულებით გათვალისწინებული სხვა ხელშემწყობი ღონისძიებები რჩება ძალაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარეის რეკომენდაციით, მიზანშეწონილია პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სწორად მიეთითოს მთავრობის განკარგულების სათაური, ასევე, ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს სათანადო რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
24. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 24-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, ასევე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლითქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ N4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, დაუმთავრებელ მშენებლობების კომისიას, კოლექტიური განცხადებებით მიმართეს შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულმა პირებმა და ითხოვეს ზემომითითებულ მისამართებზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის და დაზარალებულ პირთა მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, დაუმთავრებელ მშენებლობების კომისიის მიერ, 2023 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N 59 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" - 35-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა განცხადებების საფუძველზე, დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიანიჭა ზემომითითებულ მისამართებზე არსებულ სამშენებლო ობიექტებს;
- ✓ მისამართზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ N 37 არქიტექტურული პროექტი შეთანხმდა და მშენებლობის ნებართვა გაიცა სასტუმროს მშენებლობის მიზნით, რომლის ფარგლებშიც: კ-1= 0.4; კ-2 = 4.8; კ-3 =0.2.; ამ ეტაპზე, აშენებულია 9 მიწისზედა სართული

კარკასულ მდგომარეობაში, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი და კომერციული ფართი ჯამურად მოიცავს არაუმეტეს - 4800 კვ.მ -ს;

✓ მისამართზე - ქ. თბილისი, მუხაძის ქ N 4 შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, რომლის ფარგლებშიც: კ-1= 0.5; კ-2 = 2.5; კ-3 =0.3; ამ ეტაპზე, აშენებულია 4 მიწისზედა სართული კარკასულ მდგომარეობაში;

✓ მისამართზე - ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, რომლის ფარგლებშიც: კ-1= 0.6; კ-2 = 7.0; კ-3 =0.3, აღნიშნული სამშენებლო ობიექტის მშენებლობა არ არის დაწყებული.

მომხსენებლის მითითებით, არსებული/მოძიებული ინფორმაციის მიხედვით იკვეთება შემდეგი გარემოებები:

✓ შპს ,,ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, ზემომითითებულ მისამართებზე დაზარალებულთა იდენტიფიცირებისას დამთავრებელი მშენებლობების კომისიის აპარატი, მათ შორის, დაეყრდნო ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვის საფუძველზე ქალაქ თბილისის პროკურატურის 2023 წლის 11 აგვისტოს და 2023 წლის 22 დეკემბერის წერილით წარმოდგენილია დაზარალებულად ცნობილ პირთა შესახებ ინფორმაცია:

✓ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით დაზარალებულად ცნობილ პირთა შესახებ ინფორმაციის მიხედვით, **დაზარალებულად აღიარებულია 281 ფიზიკური და იურიდიული პირი.** აღნიშნულ პირთა ზიანი (ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ ფართის შეძენის მიზნით გადახდილი თანხები) **ჯამურად მოიცავს 16 491 515 აშშ დოლარს, 96 840 ევროს და 2 330 329 ლარს;**

✓ პროკურატურის მიერ წარდგენილი დაზუსტებული ინფორმაციით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქმეზე გამოიკვეთა გარკვეული გარემოებები, რაც საჭიროებს გამოძიების მხრიდან ცალკე შეფასებას, საქმეზე ამ ეტაპზე დაზარალებულად ცნობილ ცალკეულ პირებთან დაკავშირებით ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. შესაბამისად, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შპს „ათორი"-ს და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის შესაბამის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებშისაგამოძიებო მოქმედებების ამოწურვამდე მიზანშეწონილია არ გატარდეს შესაბამისი ღონისძიება დაზარალებულად ცნობილ გარკვეულ პირებთან მიმართებით (18 ფიზიკური/იურიდიული პირი);

✓ ამ ეტაპზე დაზრალებულად აღიარებული პირებიდან: საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მესაკუთრედ ან/და მომავალ მესაკუთრედ ფიქსირდება:

ა) დაზარალებულად აღიარებულ პირთა ნაწილი - 27 ფიზიკური და იურიდიული პირი.

ბ) შპს ,,ათორი" და მასთან აფილირებული კომპანიები (515,51) კვ.მ,

გ) პირები, რომლებიც არ არიან დაზარალებულ პირად აღიარებული ან/და გაუქმებულია მათი დაზარალებულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილება (სულ - 3 პირი (595,4 კვ.მ) (მამუკა ამზიანი; მერაბ მახარაშვილი; ნატალია სანაია).

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ გარდა ზემოაღნიშნული დაზარალებული პირებისა, ასევე არსებობენ პირები, რომლებსაც გააჩნიათ მოთხოვნის უფლება შპს ,,ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების/დაზარალებულად აღიარებული პირების მიმართ, ასევე აღნიშნა, რომ კომერციული ბანკებმა და

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა გამოთქვეს სურვილი და წერილობითი თანხმობა, რომ მათ მიმართ არსებული ვალდებულების კონკრეტული ნაწილის დაფარვის შემდეგ, სრულად მოხსნიან/დათმობენ დარჩენილ ნაწილზე მოთხოვნის უფლებას და სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფისათვის უფლებრივად დატვირთულ შესაბამის ქონებას გაათავისუფლებენ ვალდებულებებისაგან, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემომითითებულ მისამართებზე მშენებლობის ნებართვით დადგენილი სამშენებლო პარამეტრების ფარგლებში, პროექტით განსაზღვრული საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი/კომერციული/საოფისე ფართების ოდენობა ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულად აღიარებულ ფიზიკურ /იურიდიულ პირთა და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით რეგისტრირებულ მესაკუთრეთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების სრულად შესრულებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებულ პირებთან ინდივიდუალური კონსულტაციების შედეგად, დაზარალებულმა პირებმა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა და კომერციულმა ბანკებმა დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას მიმართეს ინდივიდუალურად, განცხადებით და/ან ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი თანხმობით, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან და კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად მათაც მიმართეს დაუმთავრებელ მშენებლობების რომლის მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

ა) მთავრობის განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული 98 პირი უარს აცხადებს დამატებით რაიმე მოთხოვნაზე, როგორც შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, თუ მისი ვალდებულება გასტუმრებული იქნება თანხის სახით, იმ ოდენობით, რაც დადგენილია თბილისის პროკურატურის მიერ. ზემოხსენებულ პირთა მიმართ, აღნიშნული ფორმით ვალდებულებების გასტუმრებისათვის საჭირო თანხამ შეადგინა სავარაუდოდ 5 150 540 აშშ დოლარი, 431 485 ლარი, 50 000 ევრო (ამასთან, აღნიშნულის სანაცვლოდ, ამ პირთა მიერ დათმობილი მოთხოვნის უფლება ფართზე შეადგენს 8851.8 კვ.მ-ს);

ბ) მთავრობის განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებული 33 პირი უარს აცხადებს დამატებით რაიმე მოთხოვნაზე, როგორც შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, თუ მისი ვალდებულება გასტუმრებული იქნება ფართის სახით სხვა ალტერნატიულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ფარგლებში, იმ ოდენობით, რაც მითითებულია პროკურატურის შესაბამის დოკუმენტაციაში. ზემოხსენებულ პირთა მიმართ, აღნიშნული ფორმით ვალდებულებების გასტუმრებისათვის გასაცემი ფართის ოდენობამ შეადგინა 2841,6 კვ.მ;

გ) მთავრობის განკარგულების დანართი N3-ით და დანართი N4-ით გათვალისწინებულმა 88 პირმა, მის მიმართ შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ არსებული ვალდებულების შესრულება მოითხოვა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კერძოდ: ა) მისამართზე ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 – 70 პირმა, რომელთა მიმართ ფართის სახით შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს ჯამურად სავარაუდოდ 6449,83 კვ.მ-ს, ბ) მისამართზე ქ. თბილისი მუხაძეს ქ N4 – 18 პირმა, რომელთა მიმართ ფართის სახით შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს ჯამურად სავარაუდოდ 2812 კვ.მ-ს;

დ) მთავრობის განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებული 50 პირი უარს აცხადებს დამატებით რაიმე მოთხოვნაზე, როგორც შპს „ათორის“ და მასთან

აფილირებული კომპანიების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, თუ მის მიერ შპს ,,ათორის" ან/და მასთან აფილირებული კომპანიებისაგან მისაღები ფართის ღირებულების სანაცვლოდ, შპს ,,ათორის" ან/და მასთან აფილირებული კომპანიებისათვის გადაცემული თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება/შპს ,,ათორის" ან/და მასთან აფილირებული კომპანიებისაგან შეძენილი ფართები გათავისუფლება ყველა ვალდებულებისგან და დაუბრუნდება/გადაეცემა მას საკუთრებაში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში (ამასთან, ასეთი პირების მიმართ საკუთრებაში დასაბრუნებელი ფართების ოდენობა სავარაუდოდ შეადგენს 5846 კვ.მ.). აღნიშნულ დაზარალებულ პირთაგან:

დ.ა) დაზარალებულ პირთა ნაწილმა მათ საკუორებაში არსებული უძრავი ქონება - გადასცა შპს ,,ათორის" დირექტორს, ბესიკ თხელიძეს იმ პირობით, რომ სანაცვლოდ მიიღებდა საცხოვრებელ/კომერციულ ფართს ან/და ავტოსადგომს შპს ,,ათორის" მშენებარე კორპუსში, (ხელშეკრულებაში მითითებული მისამართის შესაბამისად, (1. ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37, 2. ქ. თბილისი, მუხაძის ქ N 4, 3. ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55, ამასთან, აღნიშნული პირები განაგრძობდნენ/აგრძელებენ თავიანთი ყოფილი უძრავი ქონებით სარგებლობას;

დ. ბ) დაზარალებულთა შორის არიან პირები, რომლებმაც გააფორმეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „ათორთან", გადაიხადეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფართის ღირებულება, თუმცა აღნიშნული ფართის მათ საკუთრებად დარეგისტრირება არ მომხდარა. ამასთან, ფაქტობრივი მდგომარეობით, აღნიშნული პირები ფლობენ და სარგებლობენ ამ ქონებით, თუმცა, საჯარო რეესტრში მესაკუთრედ ფიქსირდება შპს ,,ათორი" ან სხვა ფიზიკური/იურიდიული პირი.

დ.გ) არიან ასევე ვალდებულებების თვალსაზრისით სხვაგვარად ურთიერთდაკავშირებული პირებიც.

ე) მთავრობის განკარგულების დანართი N6-ით გათვალისწინებული პირები, აცხადებენ თანხმობას, ამავე დანართით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემთხვევაში (რაც, მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რიგ შემთხვევებში, მათ მიმართ არსებულ ვალდებულებაზე ნაკლებია), აღარ ექნებათ პრეტენზია დამატებით რაიმე მოთხოვნაზე, როგორც შპს ,,ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, და ასევე ამავე დანართით გათვალისწინებული პირების მიმართ. ამასთან, ისინი უზრუნველყოფენ ამავე დანართში მითითებული ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მათი ყველა ვალდებულება და სხვაგვარი უფლებრივი შეზღუდვა მოხსნან.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შპს ,,ათორს" ან/და მასთან აფილირებული კომპანიებს გააჩნიათ საგადასახადო ვალდებულებები, ამასთან, **კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „საინვესტიციო-დეველოპერულ კომპანია ათორს" დაეკისრა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) მოსაკრებლის, 608 620 ლარის გადახდა (საქმე N3/8090-20), ხოლო, **თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორს" დაეკისრა

განაშენიანების ინტენსივოობის კოეფიციენტის (კ-2) მოსაკრებლის, 529 354 ლარის გადახდა. ამ ეტაპზე, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ არის.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ზემომითითებულ მისამართებზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით გაიცეს საჭირო მხარდამჭერი ღონისძიებები, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოედგინა მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37, მუხაძის ქ. N4 და ი. აბაშიძის ქ. N 55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ქვემოთ ჩამოთვლილი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- ✓ თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია (ჯამურად სავარაუდოდ 5 150 540 აშშ დოლარი, 431 485 ლარი, 50 000 ევრო) მთავრობის განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული პირების მიმართ, მოხდეს, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი", შპს ,,მარიჯანი , შპს „გეითვეი ჰოლდინგი", შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფისა" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მობილიზებული თანხებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის განკარგულების გათვალისწინებით;
- ✓ შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაზარალებული პირების ფართებით დაკმაყოფილების მიზნით, გამოყენებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მიწა, მდებარე მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა სარაჯიშვილი, N36 და მთავრობის განკარგულების დანართი 8-ის დანართი 2-ში მოცემული სიტუაციური ნახაზით გათვალისწინებული 1642 კვ.მ მიწის ნაკვეთი;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ევალება ამ განკარგულებით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე, უზრუნველყოს ინტერესთა გამოხატვის ორგანიზება ამ განკარგულებით გათვალისწინებულ შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაზარალებული პირების შესაბამისი ფართებით უზრუნველსაყოფად, მთავრობის განკარგულების დანართი N8-ით გათვალისწინებული პირობებით;
- ✓ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ, ამავე ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ჯამური ფართის შესაბამისი ინდივიდუალური ფართები, საკუთრებაში გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, რომელიც აღნიშნული ფართიდან შესაბამის ინდივიდუალურ ფართებს გადასცემს, მთავრობის განკარგულების დანართი N2-ით განსაზღვრულ დაზარალებულ პირებს, ასევე, კომისიის მიერ ამავე განკარგულების მიხედვით, წერილობით, დამატებით განსაზღვრულ დაზარალებულ პირებს საფუძველზე, შემდეგი წესით:
- ✓ იმ დაზარალებულ პირებს, ვისაც სრულად აქვს გადახდილი შპს „ათორთან" ან/და მასთან აფილირებულ კომპანიებთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით/შეთანხმებით გათვალისწინებული საკუთრებაში მისაღები ქონების ღირებულება (შემდგომში - ქონების ღირებულება), ალტერნატიულ მიწაზე განხორციელებულ მშენებლობაში, მთავრობის განკარგულების დანართი N2, N3, N4 და N5-

ით გათვალისწინებული ფართობის შესაბამისი ინდივიდუალური ფართები გადაეცემათ ინტერესთა გამოხატვის და ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე დასადები ხელშეკრულების, ასევე, შესაბამისი პრივატიზების ხელშეკრულების პირობების დაცვით;

✓ იმ დაზარალებულ პირებს, ვისაც ქონების ღირებულება გადახდილი აქვთ ნაწილობრივ, ალტერნატიულ მიწაზე განხორციელებულ მშენებლობაში, მთავრობის განკარგულების დანართი N2, N3, N4 და N5-ით გათვალისწინებული ფართობის შესაბამისი ინდივიდუალური ფართები საკუთრებაში გადაეცემათ ქონების ღირებულების სრულად გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციის ქონების მართვის სააგენტოსთვის წარდგენის შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირების მიერ ქონების ღირებულება სრულად გადახდილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ ანგარიშზე, ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებული ყველა იმ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, სადაც განთავსებული იქნება გადასაცემი ფართები;

✓ ამ განკარგულების მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაზარალებული პირებისთვის შესაბამისი ფართების გადაცემამდე, აღნიშნულ ფართებზე რეგისტრირებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება. საჯარო რეესტრიდან აღნიშნული ფართების შესაბამის ამონაწერებში, ვალდებულების გრაფაში, ასევე, უნდა დარეგისტრირდეს პრივატიზების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შესაბამისი ფართის ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალიწინებული შესაბამისი პირ(ებ)ისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირ(ებ)ის მიერ ქონების ღირებულების გადახდა არ განხორციელდება ამ განკარგულების მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განაზღვრულ ვადაში, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს შესაბამისი პრივატიზების ხელშეკრულება და ცალმხრივად მიმართოს საჯარო რეესტრს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, რისთვისაც არ მოითხოვება „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ის თანხმობა;

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკრებულოს განკარგულების მე-5 პუნქტით განსაზღვრული დაზარალებული პირებისთვის შესაბამისი ფართების გადაცემის შემდეგ, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ გადაცემული დარჩენილი ინდივიდუალური ფართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განკარგოს სხვა პირებზე, თავისი შეხედულებისამებრ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

✓ ქონების მართვის სააგენტო გამარჯვებულ პირს ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში და წესით მიაწოდებს ინფორმაციას საკრებულოს განკარგულების მე-5 პუნქტით დაზარალებული პირებისთვის გადასაცემი ფართების ფართობების შესახებ. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი უფლებამოსილია ამ განკარგულების მე-5 პუნქტით განსაზღვრული დაზარალებული პირებისთვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართები დააპროექტოს (მათ შორის, განსაზღვროს შენობა-ნაგებობაში ფართების მდებარეობა) საკუთარი შეხედულებისამებრ, ქონების მართვის სააგენტოს მიერ მიწოდებული ფართების მონაცემების გათვალისწინებით. ამასთან, მთავრობის განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებული პირები დაკმაყოფილებულ უნდა იქნან უპირატესად ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში. იმ შემთხვევაში, თუ ამ განკარგულების მე-5 პუნქტით განსაზღვრული დაზარალებული პირებისთვის გადასაცემი იქნება ერთი და იგივე ფართობის ინდივიდუალური ფართი, ასეთ პირებს შორის ფართები განაწილდება ღია კენჭისყრის წესით, უპირატესად მთავრობის განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებულ პირებს შორის, ხოლო შემდგომ - ამ განკარგულების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დანარჩენ დაზარალებულ პირებს შორის;

✓ მთავრობის განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებულ დაზარალებულ პირებს მიეცეთ უფლება მათ მიერ გადახდილი თანხის (როგორც თანხის ის ოდენობა, რომელიც დადგენილია თბილისის პროკურატურის მიერ, ასევე ის თანხა, რომელსაც ეს პირი გადაიხდის საკრებულოს განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ ანგარიშზე) დაბრუნება მოითხოვოს ალტერნატიულ მიწაზე აშენებული შენობა-ნაგებობის (სადაც გათვალისწინებული იყო მისთვის გადასაცემი ფართი) ექსპლუატაციაში მიღებიდან 1 წლის განმავლობაში. თანხის დაბრუნებისათვის საჭირო პროცედურების გატარებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა;

✓ იმის გათვალისწინებით, რომ მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37-ში და მუხაძის ქ. N4 ში მთავრობის განკარგულების დანართი N3 და დანართი N4-ით გათვალისწინებული პირების მიერ მოთხოვნილი ფართების მოცულობა აღემატება ამავე ობიექტებზე (ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 და მუხაძის ქ. N4) ფართების სახით არსებულ რესურსს (კერძოდ: მისამართზე ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37-ში მოთხოვნა მთავრობის განკარგულების დანართი N3-ის მიხედვით არის 6449.83 კვ.მ., ხოლო არსებული რესურსი 4 800 კვ.მ, მისამართზე ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4-ში მოთხოვნა მთავრობის განკარგულების დანართი N4-ის მიხედვით არის 2812 კვ.მ., ხოლო რესურსი 1979 კვ.მ.), მოთხოვნილ და არსებულ რესურსს შორის ფართების სახით არსებული სხვაობა, 2482,83კვ.მ. გათვალისწინებული იქნას მთავრობის განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ალტერნატიულ მიწაზე ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში;

✓ **მთავრობის განკარგულების დანართი N3 და დანართი N4-ით, გათვალისწინებულ პირებს მიეცეთ უფლება, ამ განკარგულებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო გადაწყვეტილებებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემიდან 1 წლის განმავლობაში:**

✓ **ა) ნებისმიერ დროს გამოხატონ თანხმობა, მათ მიმართ, მთავრობის განკარგულების** შესაბამის დანართში მითითებული ვალდებულების გასტუმრების მიზნით მისაღები ფართი (საცხოვრებელი ბინა, კომერციული ფართი, ავტოსადგომი), მიიღოს ალტერნატიულ მიწის ნაკვეთზე არსებულ მშენებლობაში (თუმცა, მხოლოდ საცხოვრებელი ბინის ან/და ავტოსადგომების სახით. ფართის ოდენობა, მთავრობის განკარგულების პრინციპების გათვალისწინებით), თუ ამ მშენებლობის ფარგლებში, იქნება შესაბამისი მოცულობის ან უფრო ნაკლები მოცულობის (ნაკლები მოცულობის ფართზე თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში, საჭიროა ასევე, ამ პირის მიერ შესაბამისი ფართის ოდენობაზე მოთხოვნის უფლების დათმობა) ფართი;

✓ **ბ) ნებისმიერ დროს გამოხატოს თანხმობა მის მიმართ, მთავრობის განკარგულების** შესაბამის დანართში მითითებული თანხით ვალდებულების გასტუმრებაზე;

✓ მთავრობის განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებული პირების მიმართ, ვალდებულების გასტუმრება, დანართი N5 ან/და დანართი N6-ით გათვალისწინებული პირებისათვის თანხის ანაზღაურებით, მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ დანართი N5-ით გათვალისწინებული შესაბამისი პირის საკუთრებაში/მფლობელობაში/ფაქტობრივად სარგებლობაში არსებული (მათ შორის ადრე არსებული) ფართი გახდება უფლებრივად უნაკლო (ამასთან, ეს ფართი დაკავშირებული უნდა იყოს შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ან მათი ხელმძღვანელი პირ(ებ)ის მიერ დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში წარმოშობილ დაზარალებულების პროცესთან), რაც, თავის მხრივ, მათ შორის, დადასტურდება შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ან მათი ხელმძღვანელი პირ(ებ)ის ან/და მთავრობის განკარგულების დანართი N5-ით და დანართი N6-ით გათვალისწინებული შესაბამისი ურთიერთდაკავშირებული პირების შესაბამისი თანხმობებით. მთავრობის

განკარგულების მიღებისას, გათვალისწინებულ იქნას მთავრობის განკარგულების დანართი N6-ით გათვალისწინებული პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/წინადადება;

- ✓ მთავრობის განკარგულების დანართი N6-ით გათვალისწინებული პირების მიმართ ვალდებულების გასტუმრება, მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/წინადადების გათვალისწინებით, მოხდეს მთავრობის განკარგულების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში. ამასთან, მთავრობის განკარგულების დანართი N6-ით გათვალისწინებული პირების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია მოხდეს, მათ შორის, ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი", შპს ,,მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი", შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფარტმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-სშორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფისა" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში შექმნილი სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მობილიზებული თანხებიდან, „ქ. თბილისში, შპს „ათორის"და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის განკარგულების გათვალისწინებით.
- ✓ **მთავრობის განკარგულების დანართი #5-ით გათვალისწინებულ პირებზე გავრცელდეს ასევე მთავრობის განკარგულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული პირობები და პრინციპები;**
- ✓ **მისამართზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების (მათ შორის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოების) და ექსპლუატაციაში მიღების მიზნით:**

ა) შენობა-ნაგებობის ფუნქციად განისაზღვროს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი – კ-1, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 და მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტით კ-3 განისაზღვროს შენობა-ნაგებობის უკვე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და მთავრობის განკარგულების მე-12 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გათვალისწინებით;

გ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, არ იქნას გათვალისწინებული შენობის სიმაღლის, ავტოსადგომების რაოდენობის და მიჯნის ზონების განმსაზღვრელი მოთხოვნები;

დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებით;

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უზრუნველყოფს საჭირო პროცედურების გატარებას ამ ობიექტის მესაკუთრეებთან/მიწის მესაკუთრეებთან/მესაკუთრეების საინიციატივო ჯგუფთან, ან/და შპს ,,ათორთან" (ს/ნ: 405077633) ან/და შპს ,,ათორთან" აფილირებულ/მის მიერ განსაზღვრულ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმით დადგენილი პირობების შესაბამისად. მემორანდუმით, მათ შორის, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას შპს ,,ათორის" (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებასთან დაკავშირებული სხვა საჭირო საკითხები.

✓ **მისამართზე - ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მთავრობის განკარგულების დანართი N4-ით გათვალისწინებულ პირებს მიეცეთ უფლება, ამ განკარგულებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემიდან 1 წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს წარმოადგინოს წინადადება ინვესტორთან ერთად ამავე ობიექტის დამთავრების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით;**

✓ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხიდან, საჭიროების შემთხვევაში, გასტუმრებულ იქნას სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის მიმართ შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების დავალიანება (გადასახადი, მოსაკრებელი და სხვა ნებისმიერი გადასახდელი). ამასთან, გასტუმრებულ იქნას მხოლოდ ის დავალიანება, რომელიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში არსებული დაზარალებულისათვის განკუთვნილ ქონებას;

✓ ამასთან, განკარგულების მიღების დროისათვის შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ან მათი ხელმძღვანელი პირ(ებ)ის საკუთრებაში არსებული მთავრობის განკარგულების დანართი N7-ით გათვალისწინებული ქონება, გამოყენებული იქნას შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში არსებული დაზარალებულების ვალდებულებების გასტუმრების მიზნით. ამასთან, შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ან მათი ხელმძღვანელი პირ(ებ)ის საკუთრებაში არსებული ქონების ვალდებულებისაგან გათავისუფლება განხორციელდეს შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების, ასევე მისი ხელმძღვანელი პირე(ებ)ის მიერ წარმოდგენილი თანხმობით გათვალისწინებული ფართების პროპორციულად;

✓ ეთხოვოს ქონების მართვის სააგენტოს, მთავრობის განკარგულების დანართი N7-თ გათვალისწინებულ ქონებასთან დაკავშირებით (ამავე დანართით გათვალისწინებული პირების შესაბამისი თანხმობის/წინადადების შემთხვევაში), ამავე დანართით გათვალისწინებულ პირებთან გააფორმოს ხელშეკრულება, რომლითაც აღნიშნულ პირებს, განუსაზღვრელი ვადით, აეკრძალებათ ამავე დანართით გათვალისწინებული ქონების განკარგვა ან/და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკით). აღნიშნული შეზღუდვა შესაბამის ქონებაზე, ქონების მართვის სააგენტოს მიერ, შესაძლებელია გაუქმდეს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით, იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება გამოყენებული იქნება შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში არსებული დაზარალებული პირ(ებ)ის დაკმაყოფილების მიზნებისთვის;

✓ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულმა საქალაქო სამსახურმა:**

ა) არ მოახდინოს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული, შესაბამისი ღონისძიებების გატარება შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორის" მიმართ;

ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში არ მოახდინოს აღსრულებასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული, შესაბამისი ღონისძიებების გატარება შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორის" მიმართ, ხოლო ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და დავის ზემდგომ ინსტანციაში გაგრძელების შემთხვევაში, იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელდეს სარჩელის გამოხმობასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურები.

მომხსენებელმა დაამატა, რომ პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული ღონისძიება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიმართ არსებული დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ იქნება ჩამოწერილი/ნაპატიები.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ გასცა რეკომენდაციები პროექტის მიმართ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის №561 განკარგულება, ასევე, პროექტში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მ/წლის 27 დეკემბრის N23.2153.2405 განკარგულების დანართები, ასევე, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაზარალებული პირების ფართებით დაკმაყოფილების მიზნით, გამოყენებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მიწა, მდებარე მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა სარაჯიშვილი, N36 (ნაკვ. 07/029) (ს/კ 01.10.10.007.061) და მთავრობის განკარგულების დანართი 8-ის დანართი 2-ში მოცემული სიტუაციური ნახაზით გათვალისწინებული 1642 კვ.მ მიწის ნაკვეთი (შემდგომში - ალტერნატიული მიწა).

ასევე, კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, ტექნიკურად გაიმართოს პროექტის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს სათანადო რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
25. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 25-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, შპს „ათორის"და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის

შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის წესით პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელის მითითებით, იგეგმება ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში მდებარე, ჯამში 16 871 კვ.მ. ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განკარგულების პროექტის დანართით წარმოდგენილი ინტერსთა გამოხატვის პირობების შესაბამისად, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის განკარგულების თანახმად, ინტერესთა გამოხატვის მიზანს წარმოადგენს შპს „ათორის"და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა, ამ მიზნით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ საპრივატიზებო ქონებაზე განხორციელდება სამშენებლო პროექტი, საიდანაც საცხოვრებელი ფართების ნაწილი საკუთრებაში გადმოეცემა მუნიციპალიტეტს, ამ ფართების დასაკმაყოფილებელ პირთათვის გადასაცემად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაზარალებულთა შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ზემოაღნიშნულ მისამართებზე - მშენებლობის ნებართვით დადგენილი სამშენებლო პარამეტრების ფარგლებში, ასაშენებელი ჯამური ფართების ოდენობა ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულად აღიარებულ ფიზიკურ /იურიდიულ პირთა და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით რეგისტრირებულ მესაკუთრეთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების სრულად შესრულებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, დასაკმაყოფილებელ პირთა საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფისთვის, გამოაცხადოს ინტერესთა გამოხატვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიზნით, ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის მითითებით, აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის პირობები დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2023 წლის 26 დეკემბრის №19 სხდომის ოქმის საფუძველზე, ასევე, გამარჯვებული პირის მიერ ფართები საკუთრებაში გადმოეცემა მუნიციპალიტეტს, ხოლო შემდგომ მუნიციპალიტეტი გადასცემს ზემოაღნიშნული კომისიის მიერ განსაზღვრულ დაზარალებულ პირებს, დარჩენილ ფართებს კი გამოიყენებს შეხედულებისამებრ, ამასთან, მითითებული ინტერესთა გამოხატვის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით. ამასთან, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის ჯამური საანგარიშო ფართობი შეადგენს არაუმეტეს 46 000 (ორმოცდაექვსი

ათასი) კვ.მ-ს, ხოლო შესაბამისი კ2 კოეფიციენტის მაჩვენებელი განისაზღვრება განაშენიანების რეგულირების გეგმით. ამასთან, გამარჯვებული პირის მიერ მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართის მინიმალური ოდენობა შეადგენს - არანაკლებ 8000 (რვა ათას) კვ.მ-ს.

გარდა ამისა, მომხსენებლის მითითებით, გამარჯვებული პირი ვალდებულია მიწის ნაკვეთიდან სულ მცირე 3500 (სამი ათას ხუთასი) კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე მოაწყოს კონცენტრირებული და საჯარო სარეკრეაციო სივრცე - პარკი, რომლის მდებარეობა და კონფიგურაცია განისაზღვრება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მითითებული ფართობის შემცირების გარეშე. ამასთან, პარკის მიერ ათვისებული მიწის ნაკვეთის შესაბამისი ნაწილი არ ჩაითვლება მიწის ნაკვეთის განაშენიანების (კ1), განაშენიანების ინტენსივობის (კ2) ან/და გამწვანების (კ3) კოეფიციენტების ანგარიშში. აღნიშნული პარკის მშენებლობის დასრულების შემდეგ გამარჯვებულმა პირმა მასზე საკუთრების უფლება უნდა გადასცეს მუნიციპალიტეტს, ამასთან, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენის კრიტერიუმია გადმოსაცემ ფართზე ყველაზე დიდი ოდენობის შეთავაზება. ამასთან, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მსურველთა მიერ, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისათვის წარმოსადგენია საბანკო გარანტია 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ინტერესთა გამოხატვის შედეგების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და გამარჯვებულ პირს შორის დაიდება შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულება გამარჯვებული პირისათვის საპრივატიზებო ქონების საკუთრებაში გადაცემისა და პროექტის განხორციელების თაობაზე, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება/დაზუსტდება პროექტის განხორციელების პირობები, ვადები, მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობის (მათ შორის, პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევები და ოდენობა) და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ამასთან, ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებულია შემდეგი სამშენებლო ვადები:

- ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვე- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე - არანაკლებ 50% გადმოსაცემი ფართის შესაბამისი შენობების მშენებლობის ნებართვის მოპოვება;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 11 (თერთმეტი) თვე - დარჩენილი გადასაცემი ფართის და პარკის ნებართვების მოპოვება;
- პირველი მშენებლობის ნებართვიდან არაუგვიანეს 32 (ოცდათორმეტი) თვე - გადასაცემი ფართის 50%-ის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება;
- პირველი ნებართვიდან არაუგვიანეს 4 წელი - დარჩენილი გადმოსაცემი ფართის შესაბამისი შენობების მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება;
- პირველი ნებართვიდან არაუგვიანეს 4 წელი და 3 თვე - პარკის დასრულება;
- არაუგვიანეს პარკის დასრულებიდან 2 თვე - კომპანიამ პარკის ნაწილი უნდა დაარეგისტრიროს ცალკე საკადასტრო ერთეულად და გადმოსცეს მუნიციპალიტეტს.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულის, ასევე, „შპს „ათორის"და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ინტერესთა გამოხატვის პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის განკარგულების დანართის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებიდან ამოღებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი და სწორად მიეთითოს მთავრობის განკარგულების სათაური.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
26. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 26 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც დედაქალაქის საკრებულოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის საფუძველზე, ინიციირების წესით წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ და ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში სათანადო ცვლილებების განხორციელებას, რომლის მომზადება ძირითადად განპირობებულ იქნა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2024 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის გათვალისწინებით.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ღონისძიების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის, თბილისის ბიუჯეტიდან, განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოყოფილი თანხების ოდენობა, რომელიც განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით

დადგენილ, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებით. გარდა აღნიშნულისა, ასევე, განხორციელდება ცვლილება საკრებულოს წევრების მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობის ნაწილში, შემდეგი სახით:

- ✓ საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა შეადგენს თვეში 4675 ლარს (დამტკიცებულ რეგლამენტთნ შედარებით იზრდება 425 ლარით);
- ✓ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1045 ლარისა, (დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით - იზრდება 95 ლარით) თანახმად ფორმა N1-ისა;
- ✓ საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1210 ლარისა, (დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით, იზრდება 110 ლარით) თანახმად ფორმა N2-ისა;
- ✓ საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში ყოველთვიურად, საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორცილებისთვის აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯი, **არაუმეტეს 1045 ლარის** ოდენობით (დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით - იზრდება 95 ლარით) თანახმად ფორმა №3-ისა;
- ✓ **დარჩენილი 1210 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს** თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში."

მომხსენებლის დადგენილების პროექტით, რეგლამენტის 15[6] მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის ქ. თბილისის ბიუჯეტიდან საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოიყოფა შემდეგი ოდენობის თანხები:

ა) სამგორის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 23 000 (ოცდასამი ათასი) ლარი; - **დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით იზრდება - 2000 ლარით;**
ბ) ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 23 000 (ოცდასამი ათასი) ლარი; **დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით იზრდება - 2000 ლარით;**

გ) გლდანის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 23 000 (ოცდასამი ათასი) ლარი; **დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით იზრდება - 2000 ლარით;**

დ) საბურთალოს რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი; **დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით იზრდება - 2000 ლარით;**

ე) ისნის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი; დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით იზრდება - 2000 ლარით;

ვ) ვაკის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 13 500 (ცამეტიათას ხუთასი) ლარი; დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით იზრდება - 2000 ლარით;

ზ) დიდუბის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 13 500 (ცამეტიათას ხუთასი) ლარი; დამტკიცებულ რედაქციასთანშედარებით იზრდება - 2000 ლარით;

თ) მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 8 500 (რვაათას ხუთასი) ლარი; დამტკიცებულ რედაქციასთანშედარებით იზრდება - 1000 ლარით;

ი) კრწანისის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 8 500 (რვაათას ხუთასი) ლარი; დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით იზრდება - 1000 ლარით;

კ) ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 8 500 (რვაათას ხუთასი) ლარი." დამტკიცებულ რედაქციასთან შედარებით იზრდება - 1000 ლარით;

მოხსენების მიწურულს, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ პროექტის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია - 2024 წლის პირველი იანვარი, მისი მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 27-ე საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც დედაქალაქის საკრებულოში ინიციირების წესით წარმოდგენილია ამავე საკრებულოს თავმჯდომარის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების განხორციელებას, აღნიშნული ნორმატიული აქტით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოებთან მიმართებით, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო იზრდება, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2024 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 330 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილების მიზანია საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეების

საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა, რითაც, საშტატო რიცხოვნობა არ იცვლება, ამასთან, პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 1 იანვარი, მისი მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტზე და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
28. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 28 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც დედაქალაქის საკრებულოში ინიციირების წესით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ და ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N280 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ თანამდებობის პირთა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ზოგიერთ მოხელეთა მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის გასაწევი ხარჯების ყოველთვიური ლიმიტი“ (დანართი N2) ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

მომხსენებელმა მეტი სიზუსტისათვის დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა, საკრებულოს თავჯდომარის, თავჯდომარის პირველი მოადგილის, თავჯდომარის მოადგილის, კომისიის თავჯდომარის, ფრაქციის თავჯდომარის და ფრაქციის თავჯდომარის მოადგილისა) მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის გასაწევი ხარჯების ყოველთვიურ ლიმიტად განისაზღვრა 60 (სამოცი) ლარი, ნაცვლად 40 (ორმოცი) ლარისა, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის გასაწევი ხარჯების ყოველთვიურ ლიმიტად განისაზღვრა 60 (სამოცი) ლარი, ნაცვლად 40 (ორმოცი) ლარისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ყოველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის გასაწევი ხარჯების ყოველთვიურ ლიმიტად განისაზღვრა 60 (სამოცი) ლარი, ნაცვლად 30 (ოცდაათი) ლარისა, ხოლო, განკარგულების პროექტის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 1-ელი იანვარი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 29 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც დედაქალაქის საკრებულოში წარმოდგენილია ინიციირების წესით და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2024 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესებას.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტის 1-ლი პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2024 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასაყვანად, წესდება წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით:

- ✓ ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 79 860 (სამოცდაცხრამეტიათას რვაასსამოცი) ლარი (თვეში არაუმეტეს 6655 (ექვსიათას ექვსასორმოცდათხუთმეტი) ლარი);
- ✓ იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი დამატებით განისაზღვრება 1730 (ერთიათას შვიდასოცდაათი) ლარით, ხოლო ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი - შესაბამისი პროპორციით;
- ✓ ამასთან, პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, ფრაქციის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, დარჩენილი თანხა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგ თვეებში.

მომხსენებლის მითითებით, პროექტის მე-3 პუნქტის მიხედვით, ძალადაკარგულად ცხადდება საკითხთან დაკავშირებით მოქმედი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N680 განკარგულება, ხოლო, პროექტის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 1 იანვარი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 30 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი, ამასთან, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარემ ოთარ გრიგოლიამ წერილობით მომართა ამავე საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, ამასთან, წარუდგინა, აღნიშნული ფრაქციის მ/წლის 12 დეკემბრის სხდომის N46 ოქმი, რომლის თანახმადაც, ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ირაკლი ხელაძის მიერ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დატოვებას და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწევრიანებას, ამასთან, ამავე ოქმის მიხედვით ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ფრაქციის წევრის - მარიამ ზაქარიაშვილის მიერ სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში გაწევრიანებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის **შემდეგი სამართლებრივი ღონისძიებების თაობაზე:**

- ✓ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა; კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება; ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება, **კომისიის შემადგენლობის** ცნობად მიღება; კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა.

- ✓ ამავე ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო.
- ✓ ამავე მუხლის 2^1 პუნქტის მიხედვით ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით წარადგენს კომისიაში წევრებს.
- ✓ ხოლო, ასევე ამავე მუხლის 2^2 პუნქტის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, კომისიის წევრი ხდება ამ პუნქტით დადგენილი წესით, პირადი განცხადების საფუძველზე.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის მე-17[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გავიდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრმა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ დაცულია საკრებულოს ფრაქციის მიერ კომისიის წევრის წარდგენის წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია ერთხმად მიუთითა, რომ დანართის სახით წარმოადგენს, ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თ. კაკოიშვილი თამთა კაკოიშვილი